დალაღას შვილი ალა- კერდა.	ეორღანას შვილი კასა- ბერი.	ფიროფისნელა გოდერ- ძა.
ხოჯას შვილი ადიბეგა.	ფასუას შვილი ბერუა.	დავითა.

რიზ. ნასირის თავის აღებისათჳს.

ნასირის-თავი სძეს დიდს სოფელს კარი; შუათანას—ზროხა; ჰატარას გამოზამთრული; იმის დაბალს ცხენარი; თუ ერთი კომლია, ორი შაური. ერთი წელიწადი უნდა შუაყედ გამოვიდეს, და შესამეს წელიწადზედ აიღონ.

რიჭ. სალაროს ნაზირის სარგოსათჳს.

მისი სარგო უწინ უოფილა ჯამაგირი თუმანი ოცი. ის ამოუკუწითათ, ასლა ეძლევის ჯამაგირი თუმანი სამი, დანიშნულ თუმანზედ შაური, ორი ნაკროზანა. იჯარის თავს თუთო ფლური; დიდ ბაკზედ რაც შეუძლია ფეშქაში. რაც ელიდამ სანაკროზო ფლური მოკა, მომტანისაგან ფლურზედ ორი შაური. ელიაღასი კინც დაჯდების—თორმეტი მინალთუნი.

რით. ქარსნის ნაზირის სარგოსათჳს.

წელიწადში ჯამაგირი ოც; ჰური დღიური წმინდა ორი; ატენური ღვინო როდესაც ქარსანაში იყოს ლიტრა ა; საჯელგო ღვინო ლიტრა ა; კურაში ცხენარი ა; ბატონის საჭმელიდამ ბოშუაბი ა; წელიწადში ჯოგიდამ კვცი ა; მუქამალი ცხენის იარაღი ა; ნასეკარი საბარათასშვილას კოდის პურის მკრეფლობა.

რკ. ნავტიკისათვის.

ნავტიკისა ასრე არის: ნაზირმან თუთოს კურას ქარსნის ისას-
ული რიგისად გაატანოს. რაც დაიჭირონ, მოიტანონ. თუ მარსჴა
იჭებოდეს, კმელად ზე მუკვად შეინასკედენ. აგრეთვე დიდს ბადეს
მისს დროს ყურეს ანადირებდენ; ინდომ ინადიროს, ზე ნაზირმა ისას-
ული გაატანოს.

რკა. ნალარსანის მოსკლეთათვის.

დაკვიყენებია	მექანარე	მექანარე მოსესა.	შავირდი გიორგი.
	არუთინა.	მექანარე იჯანე.	მქნალარე შალინა.
ფოლადას	შვილი ოსი-	მექანარე ჰაჰა.	მქნალარე იფასუა.
	ნა.	მქნაფირე ოჰანა.	ასკერდა ერთა.
მისი შვილი ფოლადა.		მქნაფირე ნაზარა.	მქნალარე შვირდი ოთ-
მექანარე ჰაჰა.		მქნაფირე გასჰარა.	სი.
მექანარე როსტომა.		მქსურხე ჰასანა.	მქზინჯე გოგინა.
მექანარე ალაყულა.		მქსურხე ბუეინა.	მქზინჯე არუთინა.

რკბ. მოდუნასნისათვის.

მოდუნასნა, რაც დავთარში გლეხი წაკარდების გამოძეულად,
იმან კომლზედ თუთო აბასი უნდა გამოიღოს. ამისი ათის-თავი
სალთსუცისა და მდივნებისა არის.

რკგ. ორაგულის ჟუფთისა და სსჴათათვის.

ორაგულის ჟუფთს და მუკვებს ჴეინასკედენ; ჴუფთისა და სსჴა-
თუკზის მუკვესაც შეინასკედენ, და თუმშაღს მიაზარებდენ.

რკდ. თუკზის ჩანისათვის.

თუკზის ჩანისაც ის შეინასკედეს კაპოეტისას, თუ სსჴასას, რა-
მელთაც ორაგულას ჟუფთი ეზაროსთ.

რკე. შირის-თავისათვის.

აგრევე შირის-თავზედ იქნებოდეს. უოკელს მკარეს მოზა-
ლასეცა და მოშირის-თავეც დაეთარს დაიჭერდეს, რასაც კომფს
რამდენი ბატონიანი და რამდენი მშრალი, ან თსა ეუოლებოდეს,
დასწერდეს; და რასაც აილებდეს, იმასაც დასწერდეს. ნაკირის-თავის
მკრეფული რომ წავიდოდეს, სად როგორ რჩემა ეწეროს, ისე იმ
გუარად აიღოს.

რკკ. შირის-თავის ალებისათვის.

შირის-თავი ასზედ ერთი საბატონოდ აილება. რაც ამისი ათის-
თავი დადგება, სამი წილი მეშირის-თავისა, მეოთხედი სალთხუცი-
სა და მდივნებისა არის.

რკზ. ურბნისის რუს მუშისათვის.

ურბნისის რუ საქაშეთამდი შინდელთ გამოიღონ. იქიდან სა-
ქაშნელთ და თჳალათ-უბნელთ შარშახის საყდრამდის; იმას აქეთ;
ვარჩინელთ, სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდინ გამოიღონ;
იმას აქეთ გორის გზა რომ მლაშის წყალს შეეუკრების იქამდის;
იმის აქათ ურბნელთ უნდა გამოიღონ.

რკტ. ეეენის ფეშქაშისათვის.

როდესაც ბედნიერის ეეენის ფეშქაში ტევე წავა, —ასი თუშანი
ელმა ბატონს უნდა ფეშქაშის გასაგზავნად უნდა მოართუნან.

რკთ. საზანდრებისათვის.

საზანდარი ბეჟან.	მამასახლისის	შვილი	საზანდარბაშიგიორგი.
შოშიტას შვილი ბე-	რუა.	ფასუა.	მისი თაბუნი მირსა-
ნიზანას შვილი იუ-	სახუნდრელი თამაზა.		ნას შვილი.
გულაური ასლამაზა.	კარაკოზას	სოფლის	ალელი თამაზა დალაღას
	შანაზაძე.	შანაზაძე.	შვილი.
			შერმაზანას შვილი გო-
			გია.

სსჭა მოქალაქე საზანდრები ვეკლა მისი თაბუნი არის.
 ბოკნელი ფანდიას შვილი. | ეშიკას შვილი ჰაჰუა. | ნიკოლოსა.

რღ. საფარემოს მოხელეთათვის.

ფარემოთუხუცესი ზაალ.	შანშიას შვილის ძმის-	რატის შვილი ლუარ-
ნინოზა.	წული.	საბ.
ოთარა.	ბეთაას შვილი დათუ-	თავლიდარი ასლანა.
ეძნელი ლაშქარა.	ნა.	მიგამდგომელი პეტ-
გომოლას შვილი სო-	რუსი ფარემი თარი.	როზა.
ადენას შვილი შერმა-	ალელი ფარემი თამა-	დიდმელი ბებეღას შვი-
ზანა.	ზა.	ლი.
საბატელი ფარემი გი-	ნაზარას შვილი ავთან-	მანკელას შვილი შა-
ორგი.	დილა.	გერდა.
სარქისას შვილი ბეჟან.	იმერელი გოჩა.	როსტიას შვილი იესე.
ხარატის შვილი სისა-	ხარეოლდი უსეინა.	მეშეტრეს შვილი შა-
რულა.	მისი ძმის წული უსუ-	ლიკა.
ეკუბა.	ფა.	დათუნას შვილი იასე.
სამშვიდდელი გარსე-	შეკარვე ბერუას შვილი.	კიდეკ იასე.
ვანა.	კავთის-ბეკს ზურაბას	
	შვილი.	

რღა. საჯაბადროს მოხელეთათვის.

ჯაბადარი შერმაზანა	ეკელის შვილი ფი-	შანაზარა.
შვილი.	რან.	აბაზა
ელარიას შვილი.	ასლანას შვილი.	მამასახლისის
		შვილი.

რლბ. სარქარ-ბაშისა და სარქრებისათჳს.

სარქარბაში იმაშვერდი.	სასახლის თაულიდარნი	იასაული ალავერდი.
ეორღანას შვილი მა-	ელისბარა.	გიორგის შვილი და-
ნუჩარა	შემაზას შვილი.	თუნა.

რლგ. სარქარ-ბაშისა და თაულიდრის სარგოსათჳს.

სარქარ-ბაშს ჯამაგირი წელიწადში თუმანი. რაც იმათს კელში დაიხარჯვის, თუმანზედ ორი შაური. რაც ბატონის თეთრი დაიხარჯვის სასახლისათჳს, იმისი თუმანზედ ათი შაური. დანიში ავა ამისგან ორი შაური მუშრებს; ერთი კელი ტანისამოსი თაულიდარს.

რლდ. სასახაზოს მოკელეთათჳს.

მეგოდრეთ-უხუცესი შანშიას შვილი	მეგოდრეთ ხუცესი თულას შვილი
ნასუიდა.	ზურაბ.

მანდენა შვილი	გო-	იქივ ხოსიტა.	მეჭკაბის შვილი ბეჟუა.
	დერძი.	ეოსელი ადუა.	ჯანდიურ.
შიგამდგომელი	ზუ-	შანშიას შვილი გიორ-	თრიალელი რამაზა.
	რბა.	გი.	ოჭუზას შვილი.
სახაზი დიღმელი	გი-	ენაგელი ბერუა.	მარიაშვილი დათუნა.
გოლას შვილი		ოთიას შვილი.	ანდრათელი ზადა.
	გიორგი.	თბილას შვილი.	მოქალაქე გოგინას შვი-
ზაზიას შვილი.		სამეხრეთელი ბასტრი-	ლი.
მოქალაქე გოჩას შვი-		მე.	
ლი.			

რლე. სუფრაქემთათჳს.

მეითრის შვილი ავ-	შანშიას შვილი გი-	ზავარას შვილი ტა-
თანდილ.	ორგი.	რიელ;
მამუკა შათირი.	შანშიას შვილი პაპა.	სახინოს შვილი ოთარო.

რღვ. სამზარეულოს მოსკელეთათჳს.

თუშმალი მანურას შვილი.	თეთრამკე შაკეიწდა.	ავლაღელი ძამა.
საყა წყალის მზიდავი.	ვიმშიტას შვილი ზუ-	გოჭრელი ზურაბა.
თუშელის შვილი ზა-	რაბა.	საკეპე გოსტამა.
უასახი.	კიანელი მასარა.	მუშელია.
ძამად შარიფა.	თავლიდარი გოგია.	ქეპო ბოვსელი ელის-
მზარეული დიდმელი ბერუა.	მსკედლის შვილი.	ბარა.
იორ ყულა.	მარიამული გოგია.	კრწანელი დათუნა.
მარიამული ვაჟუა.	გემელას შვილი ბე-	ოსტატი ფარადა.
	რუა.	მზარეული სინიას შვი-
	მარიამული ლომ კაცი.	ლი.
	კრწანელი მამუა.	

რღვ. სალვინის მოსკელეთათჳს.

მელვინეოსუცესი გაბ-	გლურჯიკე გლურჯი.	თავლიდარი ზავარას
რიელ.	შიგამდეგი ოსიეიქს	შვილი ფარსადან.
მელვინე ჟორღანას შვი-	შვილა.	სოლიადას შვილი იო-
ლი ბერუა.	ვაჟა.	თამ.
ბაირამას შვილი როს-	სოზიჯს შვილი შიუა.	ზავარას შვილი ზუ-
ტომ.	გურიული ვაჟა.	რაბა.
დათუნას შვილი შა-	ბოვსელი ბეუა.	მირიანას შვილი ზლა-
ველა.	გალატოზის შვილი	ვერდა.
შულავრის მამასასლი-	არდაშელ.	გორელი ესტატი.
სის შვილი.		დათია.

რღვ. სატიკის-პიროსათჳს.

მეტიკის-პირე თამა-	იქიკ ზურაბა.	კურდელას შვილი მა-
ზა.	ქიტიაშვილი ბერუა.	ზარა.
დიდმელი ჩასაშვილი	ავლაბრელი თამაზა.	შულავრელი მასურას
რამაზა.		შვილი.

რლთ. საშარბათოს მოხელეთათჳს.

მეშარბათე	თავლი-	თათარი რამაზა.	ქვემო ბოკნელი გიუა.
დრად	ნაზარა.	იქივ ბაიას შვილი.	იქივ ადიბეგას შვილი.
იქივ	ასლანა.	იქივ მამუა.	აღნიას შვილი თამაზა.
სატიას	უმა თამაზა.	ქიტესა.	გიორგი
ეშაკას	შვილი გერმიშა.		

რმ. სააუშტროსათჳს.

აუშტარი	თავლიდარი	თავლიდარი	ბაირამა.	დიღმელი	გოდერძი.
	არუთინა.	მარიამული	ბერუა.	ბოკნელი	ბეჟუა.
თანდილას	შვილი ბე-	ბოკნელი	სუგაზა.	ბოკნელი	საქუა.
	ჟიტა.	ოღთისელი	აშუთარი	ავლაბრელი	ზურაბა.
ბოკნელი	მარქარა.		თამაზა.	გრიგოლას	შვილი ბე-
ბოკნელი	დურია.	ყალთასნი	შვილი ფი-		ჟან.
შულავრელი	აღიხანას		ჩალა.		
	შვილი				

რმა. მეთეფშეთათჳს.

მეთეფშეთ	თავლიდარი	კიდევ	გიორგი.	ბოკნელი	სენუა.
	გიორგა.	მოქალაქე	სენუა.	ეკლესიელი	ლეკა.
გზირის	შვილი მე-	სამესრეოელა	ძამა.	ბერუას	შვილი იოანე.
	თეფშე.	თეოდორე.			

რმბ. ამბარდნათათჳს.

ამბარდანი	თუმანა.	მეუჭირი	ბოკნელი	ას-	იქივ	მურადა.
დარდარას	შვილი და-			ლანა.	მოქალაქე	ნასუადა.
	თუნა.	მოქალაქე	ზურაბა.			

რმგ. ზინდართათჳს.

ზინდარი	თავლიდარი	შიგამდეგი	გარკეანა.	ვახუშტის	შვილი დურ-	
	შაჟუა.	გორელი	ესტატე.		მიშხან.	
თულას	შვილი ნაგროს.			კიდევ	გორელი	დავითა.

რმდ. საჭმლისათვის.

საჭმელს თუ ოცს უახს გააკეთებდენ, თუ ორმოცს-სამოცსა, ერთი უახი ფარეშებს უნდა მისცენ; და თუ ოცს ნაკლები გააკეთდეს, უახს ნუ მისცემენ.

რმე. სახასოს ჰურის მოსაკლისათვის.

ჩუწნის სახასოს სოფლის კასადრებმან ჰურისა თუ ქურისამან, უკვლამ ენკენისთვის კასლვამდინ ანგარიში მოსცენ, რომ შევიტყოთ რა მოსულა, რომ იმისი ფიქრი კვქმნათ; თორემ თუ ამ დროს ანგარიში კასცილდა, კასადრობაც დადუას და იმ წლის თავის საცგოცა.

რმვ. სადიასასლისოსათვის.

რაც ჩუწნი სადიასასლისოს ზროსა მოგროვდეს, რამდენიც დადგეს, როგორც შესუდეს სოფელსა და სოფელს, თრიალეთზედ მიაზარონ ამ წესითა: ფური უკუდავი იუოს; კბო კისაც ებაროს ნიადაგ წელიწადს იმისი იუოს; წელიწადზედ ფურის-თავს სამს ლიტრას ერბოს ჩვენს ქარხანაში მოაზარებდენ.

რმზ. სუფურის ჰურისათვის.

ბატანის სუფურის-ჰური ლიტრასზედ ღავაში ორი; მურასა ლიტრასზედ ერთი; საგარეჯო ნახეარ ლიტრისა.—მეკვლისი რომ იუოს, ექუსს ღავაშს ჩასდებენ; უმეკვლისოდ სამს ღავაშს ჩასდებენ.—მოხელეებს როგორც მისცემოდეს, ისრე იმ გვარად მისცემდენ ჰურსა, ლიტრასზედ ოთხსა; გამოიუკანონ და წმინდად გაუმტვიცონ.—სამეკვლისო ღავაში ლიტრასზედ ოთხი.—საულუფე ღავაში ლიტრასზედ რვა.—მადური ლიტრასზედ ათი.

რმჭ. საურისათჳს.

საურისა ასრე არის: როდესაც ჭკეყანაზედ საური შეკარდების, მესაურობას ვისაც ბატონი უბოძებს, იმისი არის; კომლზედ თოთსმეტი შაური გამოერთმევის. ამისგან მარჩილი ბატონისა არის, დარჩების ორი შაური. ამისგან შაურ-ნასკეარი მესაურისა არის და ნასკეარ შაური სალთხუცისა და მეფის მდივნებისა არის; შუა უნდა გაიყონ: ორ-ფულ-ნასკეარი სალთხუცისა და ორ-ფულ-ნასკეარი მდივნებსა მეფისასა. გასაყოფი ამაში არც დედოფლის სალთხუცისა და არც მისს მდივნებს ამაში კელი არა აქჳსთ. ბოგანოზედ სძეს შაური, კომლზედ ორი შაური, ეს ბატონისა არის. ბოგანოს ძველი არა სძეს, და მთელმან საკომლომ—ასრე არის: დიდს სოფელში ჩადგებოდეს და რაც მართებული იყოს, სამასპინძლო მთართვან. და სსჭეგან საკომლოზედ თჳთო შაური მთართვან. მესაურებს თითო სალთხუცის კაცი უნდა გჭკეკეს, სალთხუცის კაცს კელი არა აქჳს.

რმთ. საბალახის ალებისათჳს.

საბალახე სძესთ: ასზედ ბატონიანი ცხჭარი სამი; მშრალი ცხჭარი ორი; მობალახის შიშლიგი ა. რაც ბატონის საბალახის ათისთავი დადგების, ამისი მეოთხედი სალთხუცისა და მდივნებისა არის, და დარჩების სამი წილი. ამისგან ორი წილი მობალახესა, და მესამედი სუფრაჳსა.

რნ. სამასპინძლოს შეწერისათჳს.

თუ ბატონი ზემო ქართლში წაბრმანდეს, ვინც არ დაჭპატიეებს და ან სამასპინძლოს არ მთართმეებს, მოკელენი სამასპინძლოს შეწერენ.

რწა. საამილახოროს კოდის-პურისათჳს.

საამილახოროსი არის ბოგანოს გარდაისად თარხანი და გამომღეპი კომლი ტმთ; ამისი თარხანი რმთ; გამომღეპი ქათმით სღ; ესენი საბალასის თარხანი არიან. სსჴა გამომღეპი როგორც ზეკით სწერია, ისრე უოკელიფერი უნდა გამოიღონ. კოდის-პურის ჩამოტანა ზოგს გორს აქეს, ზოგს ქალაქსა.

რწბ. საბარათასჴილოს კოდის პურისათჳს.

საბარათა შვილოს არის საკომლო ში; ყაფლანის შვილის საკომლო ტ; იქმნა ჩსი; ამისი თარხანი და აყრილი სღ; გამომღეპი შპ; აგრევე ქათმის სსჴა გამოსაღები როგორც სსჴა დაგვიწერია, ისრე იმისი რიგი არის, სასახლის მუშაობა, უარაიის ჯერგა. ამას გარდაის ზოგს სოფელს სასახლას სოფლებში გუნა-მა და ლექჴა ჰსიქეს, საკომლოზედ ბზე საკედრით.

რწგ. საციცინოს კოდის-პურისათჳს.

საციცინოს გამომღეპი ქია; ამისი თარხანი ე; დარზა ქათმით ლქზ; თარხანი რკე; ბატონის შვილის ყმითა; ამისგან გორს უნდა მოიტანონ საკომლო სმ; ქალაქს უნდა ჩამოიტანონ ქათმით საკომლო ტნი; სსჴა გამოსაღები როგორც ზეკით სწერია, ისრე აქესთ.

რწდ. სომკითის კოდის-პურისათჳს.

სომკითი საკომლო ფოგ; ამისი თარხანი რიე; გამომღეპი საკომლო ქათმით უნც; ამათ საკომლოზედ და ღორის საბალასე

არს ჭსპესთ. სხუა როგორც საბარათისშეილოს რიგი არის, ისრე ამათ ჭსპესთ. ჟარიმა და გვეის-თავი ბატონისა არის.

რნე. სომეითის მოურავის სარგო.

სომეითს ამეს ოლქა ტარულისა სომეულზედ ბატკანი. თავის გასატკეის ზროხა ბატონის კოლის-ჰურიდამ ერგების. ისრე სხუას მოხელეს გარეოად საკომლო ნ; ბატონისა ოთხას ორმოცდა თერამეტს გარდაის, იმას გამოკესულვართ.

რნე. სანავროზოასათვს,

სანავროზო კომლზედ აბასი არის; რაც გამოძლები გლესი დაიწერების, ამისი რუსუმი არავის აქქს; ისინი სალაროს ნაზირს ფულურზედ ორს შაურს მისცემენ.

რნზ. სამს წელიწადში ელის აღწერისათვს.

სამს წელიწადში ერთხელ აიწერების. კომლზედ სამი აბაზო ასამწერლო არის და ორი შაური აღამათისა არის, თოთხმეტი შაური ობაზედ, სუთი აბასი სამეხანდრო ჯრის. ესეები ყველა ამწერისა არის. რომელსაც მოლას ბატონის წიგნი აქქს, არ ეთხოვების; აღლარს აღსამწერლო არ ეთხოვების და არც მისს განაყარს მმასა და სახლის-კაცსა.

რნტ. სამშვილდე კრწანისს კერგეშების მსარეულებისა და ფარეშებისათვს.

სომეითის მთის სომელები რომ ახლა ბატონს უჭირავს, ჟურთქრი დამბლუტი, და ანდიკა, ანდიკას ამეს ღალა ექვსზედ ერთი, გუთანზედ

ორი დღე ხუნა, მკა, გაღეწა, საბალასე, ნახირის-თავი, შირის-თავი, მალა, თავსედ ორი აბასი. ამისგან ეჭვსი შაური ბატონს, ორი შაურა მოსკელთ. საშობაო ორი ცხვარი, ეჭვსი ქათამი, ფურსედ ერთი ჩაბჭი ერბო, საციზი თხა ერთი. ბოლნისის ზჭარში ერთის კერის მუშაობა, ასი კონა სარი; სააღდგომო სამი ბატონი, ერთი ღორი მკაში დაკლან და მათვე შეჭამონ; საქერიო კარი.

დამბლუტს და ჭურორს ხუნას გარდა უოკლიფერი ასრე ამეს. ამ სოფლების მოურავებისა.

რნთ. სალთხუცის სატკოსათჳს.

უოკელს წელიწადს ზარათხანიდამ გარდაკუჭითთ, ბეკრი მოკა თუ ცოტა, თუმანი ოცდა ხუთი; ჩელიეკიდამ თუმანი სამი, ტყვის ბაჟიდამ თერთმეტის თავის ნახევარი, როგორც იჯარა იქნების.

*) აგრევე უაფნიდამ, აგრევე არაუსანიდამ, აგრევე კარის აბანოს იჯარიდამ, აგრევე თამბაქოს იჯარიდამ, ყასაბსანიდამ, ელის ეთაზის თერთმეტის თავის მეოთხედის-ნახევარი, აგრევე ქოდავიდამ. ქალაქის მალზედ თავსედ ნახევარ შაური; უაიყულის მალზედ თავსედ ნახევარ-შაური. აგრევე ბოლნისის მალზედ, აგრევე შულაკრის და თეთრ-სოფლისაზედ, აგრევე ტაშირზედ, აგრევე ჭურორს, ანდიკასა და დამბლუტსედ, აგრევე გორისაზედ თავსედ ორი შაური.

დიღმის მალზედ თავსედ სამ-ფულ-ნახევარი; კოდის-პურები-სა უეღგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალასეებისა, აგრევე შირის-თავებიდამ, აგრევე ნახირის თავებიდამ, აგრევე ზჭარების კულუხისა, აგრევე სახასოს პურებიდამ და ღალისა

*) ეს ადგილი დედანში ცარიელი იყო. სხვა ნაწერში ასკა: თ უ მ ა ნ ი მ რ ვ ა. გამომცემი.

სადიასხლისოს ერბოს გარდა. რაც საბატონოს ერბოს მოსავლისა, თერთმეტის თავის ნახევარი; ოდუნ ახნის თერთმეტის-თავის ნახევარი; აგრევე სამასპინძლოებისა და სააღდგომო-საშობაოსი; ტუხ-თუს—მეთერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე იაღლუჯის საფორულოს ბრინჯისა; ამისი ასრე არის: თუ რუებს სასაღარი ადგია, იმისის მოსავლის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი არის, და თუ გასაღარი არა ადგეს და იჯარით ან ამანათად მიხარებული არის, იმისი თერთმეტის თავის ნახევარი არის; აგრევე აბრე-შუმისა, ბანბისა თუ რასაც ფერისა რუებზედ მოსავლისა, ფუშთუ-ქუნის ბარხანისა წილი აქუს.

რ.ა. სომხითის ტარულისათჳს.

(აქ დედანში ცარიული ადგილია.)

რ.ა. სომხითის მელიქისათჳს.

საწნესელზედ ტებილი ჩათვი ოთხი; გუთანზედ ჰური კახიწი ერთი; თაგზედ ნახევარ შაური.

რ.ა. საფერისცუალებოს თეკზისათჳს.

უნდა წავიდნენ დარუბნელნი, გომარელნი, ეგრისელნი, შაულის-ტანელნი, თოფრა-ყალელნი, სხალ-ნარელნი, ურცკენელნი, აკურელნი, რეკაშნელნი, ცხარელნი, ნიაწრელნი, საჭელნი, მაჩქათელნი, იფნობელნი, საკაცელნი, ქციელნი, შესაწუკად გაყოლიონ.

რ.ა. სასახლეების რიგისათჳს.

როდესაც ინებოს მეფემან, ანუ მფლობელმან საჩუფოსა ტახტისამან შემზადოს სერი დიდი და დაიდვას ნადიმი, ბრძანოს ქორსა და სერსა ზედა დაგება ტაბლისა და მუჯლისისა, ესრეთ: როდესაც ბატონი დიდს სახლში დაბრძანდეს, ის სახლი რუს აწუელი

და სულ მოფენილი რომ იყოს. ბატონი რომ ტასტრედ ბრძანდებოდეს იმის პირ-დაპირ წინ რომ ბოძი არის, ეშიკაღასბაში იმ ბოძთან ერთი იქით და ერთი აქეთ იმ ბოძთან დადგებოდნენ; იმ ბოძიდან ორს ბოძს ქვევით ჩანოც კელ-ჯოხიანები, ან სოიხათ იასა-ულუბი იუწენ, იქ ნახევარი იქით, და ნახევარი აქეთ რიგზედ დადგებოდნენ. დარბაისელნი რომ შემობრძანდებოდნენ, დიდროანს კაცებს აქთმან ეშიკაღასბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი და იქითმან იქით უჩვენოს თავისი ალაგი როგორც შეეუერებოდეს. მერმე სხუა დარბაისელნი რომ მოვიდნენ, ბოჭაულთსუცესმან იქითმან იქით მისრული დააწესებინოს და აქთმა აქათი მოსული დააწესებინოს. ბატონის უკან უორჩიბაში და უულარაღასი სეზედ დადგებოდნენ, ბატონის ბრძანებადინ ნუ დასდებიან. ეული და უორჩი რიგზედ დააყენონ, უორჩიასულიც იქ დააყენონ და იმათი დგომა გაარიგონ. სუფრა რომ ითხოვონ, ახლარაშმან ბატონის ტაშტ წურწუმა მობიტანოს. სხუა რვა ახლარი შემოვიდეს მისის ტაშტ წურწუშებითა; ოთხმან იქით ჩაურიგოს და ოთხმან აქათ. ბატონის სუფრა ფარეშხანის ტარულას ეჭაროს; ორი ფარეშთსუცესი მიჭეუწს, სუფრაჟმან გაშლოს, აქეთ-იქით ფარეშთსუცესმა ბატონის სუფრის წვერი გაშლან. ყაბები შემობიტანონ. ჯერ მეგოდრეთსუცესმან ოთხმან იქით აქეთ ჰური ჩაურიგონ, მეგოდრეც იშველიონ. მერმე მეშარბათემ ოთხმა იქით და ოთხმა აქეთ თავის კონჩა ჩაურიგონ. ოთხი თუშმა-ლა შემოვიდეს და სუფრა-ქეში ვეელა შემოვიდეს; საჭმელი დაასხან, აქეთმან სოიხათ იასაულმან აქეთ მიართმევინოს, და იქითმან იქით მიართმევინოს. ბატონის სამეღვინოს მეღვინეთსუცესი მოუძღვეს. შიგამდგეს სურა და თასი ეჭიროს, ზირანდაზი გაშლოს; პირის მეღვინემ ღვინო მიართვას. მეღვინეთსუცესი და შიგამდგეც იდგნენ. სხუა ცხრა მეღვინე შემოვიდეს, ოთხმა იქით მიართვას და

ოთხმა აქეთ; ერთმან პირ-დაპირ მიართვას. პირველზედ ყავა და ჩაი მისმან მოკლეების მისს დროს მოიტანონ ცალკე აქათ-იქით ჩაურბიონ. ბატონის ფალიონი რიგისად სუფიუღლიმ და სხაკამე მოიტანონ თუთო და თუთო პირ-დაპირ, ნუ მოსცდებიან. სსჭა ორა ფალიონ უორჩი ერთი იქით და ერთი აქეთ იმსახურებოდნენ, კისიც სპატროს კაცის შვილის ფალიონი იქნებოდეს, შემოუტანდნენ. თუ რუსი ჩამოშეკებული იყოს და ან იქით აივანში და ან აქეთ შუა სახლში მეკვლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასი დადგეს და ორი ბოქოულთხუცესი აქეთ და იქით, ამ წესით გაარიგონ: ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთხუცესი, ოთხი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი ახლარი, ერთი მეღვინეთხუცესი, ერთი პირას-მეღვინე, ერთი შიგამდედი, ექვსი მეღვინე. ესენი იმავე ზეითათა წესით იმსახურებოდნენ; სალოხუცესა და ნახარი გაარიგებდნენ და დადგებოდნენ; ერთი მდივანიც იმათთან იქნებოდეს.

როდესაც დიდის სახლის მეკვლისი ბრძანოს, რომ ერთ-პირ-მოფენილი იყოს და რესუბი აწეულა უქანდეს; იმ სახლასათვის უნდა გაკეთდებოდეს ბრინჯი ყაბი სამოცი; ამისგან ხუთი ყაბი ბატონის წინ დაიდგომოდეს, და ორმოცდახუთმეტი ყაბი სსჭა ყაბი იქნებოდეს. მაგრამ თუ დარბაასკელსა იგნითონ, რომ არ იქნებოდეს და არ აივანებოდეს; ორმოცდაათი ყაბი გააკეთონ. ამავე სახლისათვის ძროხა შვიდი მისის აშითა და ბორჩითა; თუ სმას ბრძანებს, მოსამატი სსჭა იქნება.—რუს ჩამოშეკებული რომ იყოს, იქით დაბანდეს თუ აქეთ. ერთი ეშიკაღასმაში, ორი ბოქოულთხუცესი, ოთხი სოიბათ იასაული აქეთ და იქით, ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთხუცესი, ოთხი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი ახლარი, ერთი მეღვინეთხუცესი, ერთი პი-

რის-მეღვინე, ერთი შიგამღვინე, ექვსი მეღვინე,—ესენი იმსახურებოდენ; საღვთოეცესი და ნაზირი დადგებოდენ.

თუ ისევ სახლი რუს ჩამოშვებული იყოს, ან იქითდა ან აქათ ბრძანოს მეჯლისი, ან იქით აივანში, იმ სახლისათვის გააკეთონ ბრინჯი უბი ოცდაათი, სამი უბი ბატონის წინ დასადგმელი, და ოცდაშვიდი უბი სსჭა ფლაგი გააკეთონ. ამ სახლში რომელშია ც ბრძანდებოდეს, ძროხა სამი მისის აშითა და ბორნითა. თუ სმას ბრძანებს, მოსამატი სსჭა იქნება.

რ.დ. საღვთოს მუშრების სარგოსათს.

საღვთოს მუშრებისა ჯამაგირი თუმანი ოთხი; დანიმზედ შაური ერთი; დუშალიკის მერვედი, რაც ჯამაგირი გავა თუმანზედ ორ-ფულ-ნახეკარი; უღუფა დღეში ჰური ოთხი; ღვინო ლიტრა ერთი; ქერი ლიტრა ორი; თვეში ცხენარი ერთი.

რ.ე. საღვთოს თაკლიდრის სარგოსათს.

ოთხი თუმანი ჯამაგირი, დუშალიკის მერვედი; ჯამაგირის რუსუმი თუმანზედ ორ-ფულ-ნახეკარი.

რ.ვ. სამეფოს კაცისა სადედოფლოდ არ მუშაობისათს.

სამეფო კაცს სადედოფლოდ ვერ ამუშავებენ, და მეფეს თუ ეპრინება, სადედოფლოს კაცს რუხედ სსახლეზედ და გაჭირებულს მუშაობაზედ ამუშავებს. მაგრამ სამკალად და სალენჯად კი არა აქვს კელი სადედოფლოს კაცთან. გოყორზედ უაღიონისა და ოქრომჭედლისათვის ნახშირს ქსთსოვენ სამეფოდ სადედოფლოს კაცს.

რ.ზ. ტოგუნის რიგისათვის.

თუ ბატონმა ან ტოგუნში, ან მეიდანის: აივანში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეპიკლასი, ოთხი ბოქოულტესუცესი, ორი სთობათ იასაული აქეთ და იქით დადგებოდნენ. ერთი აბდარბაში, სუთი აბდარი, ორი სუფრაჯი, ორი ფარეშთსუცესი, ორი თუშმადი, ექვსი სუფრა-ქეში, ოთხი მეგოდრეთსუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთსუცესი, ერთი ჰირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი სსუა მეღვინე, ერთი ბატონის უღლიონ-უორსი, ორი სსუა უღლიონ-უორსი—ესენი იმავე შემორეს წერილის წესით იმსახურებოდნენ.

თუ ბატონმა ტოგუნში მეჯლისი ბრძანოს, უნდა გაკეთდეს ფლავი ყაბი ორმოცი; ამისგან სუთი ბატონის წინ დასადგომელი, და ოცდა თუთსმეტ ყაბი საჯაროდ, მისის აშითა და ბორსითა; ძროხა ორი.

რ.ზ. ტყავისათვის.

შაბათს რამდენიც ზროსა დაიკლას, ტყავები უოკელივე საბა-
 ზებს. კურას რაც ძროსა დაიკლას, ტყავები თუშმლებს. აღდგომი-
 დამ ამალღებამდინ, ბატონის ტყავი *). ამას გარდა,
 რაც ძროსის ტყავი იქნებოდეს ან ცხურისა, ან თხისა, იმისის დუ-
 მით და ქონით; ლეშის ტყავიც და ქონიც ზედამეს. იყარად აილე-
 ბის, სან ოცს თუმნად, სან ნაკლებად; სსუა ან რაც ლეშის ტყავი
 მოვიდოდეს სამესრეოსი, ან ცხურის ლეშისა მოვიდოდეს, იმასაც
 იმ იყარაზედ დაუღებდენ; მუშორიებს კელი არა აქესთ.

*) აქ დედანში ცარიელი ალაგი არის. სსვას ნაწერშია: ბატონის ტყავი თუშმლებისა და მზარეულებისა არის.

რკთ. ტვიის ბაყისათჳს.

საღბაშს ეპახიან, რაც ტვიი მოკა, ერთს უკეთესს სეს-საბატონოდ აიღებენ; ამისი თეთრი დადგების ოცნდა ორი მინალთუნის, კან მტ-ნაკლები. ამისი რუსუმიც აგრევე აიღების.

რკ. ტუვის ბაყისათჳს.

ჭალაჭისა, გორისა, აღისა თუ გინა სსჭაგან უველას მებაჟე ერთი იქნების. ცალ-ცალკე გერავისი დადგება კელმწიფის იჳარადრის-მეტი. ჭართველმან, თათარმან, სომესმან თუ რამაც სჯულმან იმერეთს რომ ტუვე იუიდოს, ტუვის თავს მსუიდეკელს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოარბთვედენ. თუ ჭართლში გარდმოიჳანეს და აჭ გაისუიდა, ან აჭაური ერთმანერთს მიჭუიდეს, სამ მინალთუნს მსუიდეკელი და სამს მინალთუნს გამსუიდეკელი ბატონს ვერ დააკლებს; ზეითაც დაგვიწერია. და მთაზედ ტუვის გამსუიდეკელ-მსუიდეკელთან კელი არა აქვს ტუვის მებაჟესთან.

რკა. ტუთსუჩისათჳს.

პირველზედ გამოარჩეული ცსჭარი გ, თოსლი ბ, ტუთსუჩისა პირზედ ჩეფინი ა; ამისი ათის თავი სამი წილი ტუთსუჩისა არის, მეოთხედი სალთსუცისა და მდივნებისა.

რკბ. ტაშირზედ აირდარბეგის კეობის რიგისათჳს.

ამათ ამეს: ბატონის დღლა შვიდისაგან ერთი, საბატონოდ უნდა კნან გუთანზედ დღე გ, მკა, გაღაწჭა; ჩამოტანა, ბაშმალი აბასი ორი, მოკველებს შაური ორი, ფურზედ ერბო სტილი ე; საშო-

ბაო-საადდგომო ზროხა ოთხი, ცსჭარი ცსრა, კობო ლიტრა თერთ-
მეტი, საქჭრიო კარი, (იაკ) კოდი იქიური თორმეტიანი არის,
(იეკა) საბატონო ია.

როგ. ტაშირის მოურავისათჳს.

ტაშირის მოურავისა ფურხედ კობო სტილი ბ; თავის-გასამ-
ტესლო კარი, გასამურელო კარგს გლეხზედ ზროხა, დაბალზედ
ცსჭარი, კომღზედ ჰური და ქერი კოდი გ; ნაცჭალს კომღზედ
კოდი ერთი; ბატონის მოსავლის ათის-თავისა მოკულებისა არის,
მალის ორის შაურიდამ. — ტაშირის მალისა ათი შაური თავზედ აი-
ღება: ორი აბაზი ბატონისა არის, ორის შაურისაგან ნასეკარ-შაუ-
რი სალთსუცისა და მდივნებისა, და შაურ-ნასეკარი მოურავსა და
მემალესა.

ტაშირის კასადრისა კომღზედ ჰური კოდი ნასეკარი; ქე-
რი კოდი ა; ბატონის თერთმეტის-თავსა რაც დადგეს, ოთხისაგან
ერთი სალთსუცესა და მდივნებსა, სამი მოურავმან და კასადრმან
გაიყონ.

როდ. ურბნისის რუს გამომღებთათჳს.

ურბნისის რუ საქაშეთიდამ შინდელთ გამომღონ, იქიდამ სა-
ქაშინელთ და თვალად-უბნელთ შირშაბნის საყდრამდინ, იმას იქით
კარჩინელთ, სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდინ გიმო-
ღონ; იმას აქათ გორის გზა რომ მლამის-წყალს შეეურების იქამ-
დინ; იმას აქათ ურბნელთ უნდა გიმოიდონ.

როე. უმისა და მოხარშულის ზროხისათჳს.

ძროხა რამდენიღ დაიკლას, თავები მეჭინიბეებისა, კისერი მეკო-
რისა, მკერდი თუშმლისა, საპარავი მზარეულებისა, თირკმელი აუშ-
ტრისა, გულ-ღვიძლი საკლავის მეცხჭარისა.

როვ. მოსარშულისათვის.

მოსარშულის ძროხიდამ ერთი საკატკატე სუფრავს; ერთი ნაჭერი დავთარსანაში, თითო ნაჭერი თუშმლებს, ერთი ნაჭერი ძროხასა მზარეულს, ერთი კანტი იასაულებს, თითო კანტი ქუაბის აწეგს მუშას.

როზ. ფუტკარის რიგისათვის.

ახელა შვილისათვის რამდენი სსვა თაფლად აწერია და მიგვიბარებია, იმდენი სკაზედ ჩარეკ ნასეკარი სანთელი ჩვენს ქარსანაში მოაბაროს, და სსჟა ნაყარი თაფლი, ზიანი და სარკებელი მისი არის. ჩვენი თავნი ფუტკარი კი, ნუ მოიშლები,

როზ. ფეშქაშის მოკელეთათვის.

ფეშქაშის ქარსანა; ფეშქაშნივისი ქაისოსრო; ფეშქაშის თავლიდარი ღორელი ფარსადანა.

როთ. ფეშქაშნივისისათვის.

რაც ფეშქაში მოვა, ის დასწერს, რაც სარსათი ჭქონდეს. ის ჭაშაგირი, ულუფა დღეში ერთი ლიტრა ღვინო, ექვსი შაური, ერთი ფისოსი ქონა, ერთი ფარჩა, კორცი ერთი ლიტრა, ქერი რასაც ქარხნის ხარჯს დასწერდეს იმის განაცემის დუშალიკისა; რაც თავლიდარს ერგებინს; იმის მონახვევაც.

რბ. ქსნის ერისთვის მამულისათვის.

ქსნის ერისთვის უმა გამოძღები და თარსანი რმც; ამისი თარსანი ნდ, გამოძღები ჟდ; ქათით სსჟა გამოძღები, საბალახე.

თუ რაც ფერი როგორც სემო ქართლსა სპეს, ისრე იმას.

სამილასორის და სერისთოს კოდის-პურის გამოძღების კომლის ჟუმილი სეე; ამისგან ქალქს უნდა ჩამოიტანონ საკომლო რნა; გორს უნდა მოიტანონ საკომლო პე; კიდევ გორს უნდა მიიტანონ გორის ზურის სარი, საკომლო ნი; საკომლოზედ სარი კონა.

ქსნის-კეველთ აქუსთ ულუფა, როდესაც ბატონი სალაშქროდ წახმანდება კურაში კარი ა; ცსწარი ბ; მარილი ლიტრა ა; ღვინო საპალნე ბ; ფქვილი საპალნე ბ.

ასრევე არაგვის ერისთვის კაცებსა აქუსთ.

აგრეთვე ავალის შვილის კაცებს სადგრელებს აქუსთ.

რწა. ქალქის მალის გარიგებისათვის.

მალი პირველზედ ახალს მალის გამოძღებს რომ დავთარში ჩაგდებენ, იმის ნასეკარს მალს გამოართმევენ, რომ სამი აბასი იქნების, და მთელი მალი თავსედე ექსია აბასი არის. ამ ექსესს აბასისგან ხუთი აბასი სასელმწიფო არის, და ის ერთი აბასი ასრე გაიყოფა: შაურ-ნახეკარი მელიქისა არის, შაურ-ნახეკარი მამასასლისისა, ნახეკარ შაური სალთსუცისა, ნახეკარ შაური მდივნებისა. ამ მელიქ-მამასასლისის კერძთან თორმეტი მინაღთუნი გარდაკეთით გეზირს აქუს. რომელიც მალის გამოძღები კაცნი დაბურდების, ასრე რომ მოგება აღარ შეეძლოს, იმისთანას მალი აღარ ეთსრეების.

რწბ. ქალქის სატყეოს სარჯისათვის.

ქალქს საური და ტყეის კარგი არა ქსძეს. შავრამ რამდენსაც ბედნიერის კელმწიფის ფეშქაშს გაისტუმრებენ, ვინც ქალქში სახლობან, ასი თუმანი ბატონს უნდა შემოაწიონ.

რძგ. ქალაქის აღწერისათვის.

შუღს წელიწადში ერთსულ ჩობანბეგის, კომლსედ ორი შაურნი ასამწერლო არის. ვისაც ბატონი უბრძანებს და დაწერინებს, ეს ორი შაური იმისი არის, სსჭა მოსულეს ამაში კელი არა აქქს,

რძდ. ქოდავის რიგისათვის.

სამს წელიწადში ერთსულ ჩობანბეგი უნდა წავიდეს და დათვალოს, გალადარს რაც ცსჭარი ჭუქუნდეს, ან ვისიც ერიოს, ცალ-ცალკე დაწეროს, ვისიც ერიოს საკულდობ ანუსსკედენ. თუ ვინიცის გალადარი წავიდეს სადმე და იმისი ცსჭარი დარჩეს, მუთაჯირი იმის ქოდავს ნუ დაგვიკარგავს და აიღებდეს. და თუ იმ გალადარის ნარკვი ცსჭარის ბატონი და ცსჭარი წავიდეს სადმე, იმას არ ვივაბულებთ, იმ ქოდავს გალადარს უკლებლად გამოართმეკდენ.

დასამთველო სამს წელიწადში ასსედ რკას შაურს ჩობანბეგი უნდა აიღებდეს. ამას გარდაისად ქეჩაბაშს ეპასიან—ექქსს შაურს უოკელს წელიწადს ბირეულსედ ჩობანბეგს უნდა მოსცემდენ; და ბირსედ უოკელს წელიწადს ორს შაურს მუთაჯირს მოსცემდენ. საბატონო ქოდავი აიღების ცსჭარსედ ერთი შაური; ამისი ათისთავი რაც დადგების, სამი წილი ჩობანბეგისა არის და მეოთხედი სალთხუცისა და მღივნებისა: ნასკეარი სალთხუცისა არის და ნასკეარი მღივნებისა. ეს ბატონის ქოდავი სამ დაფათად იქნებოდეს: ერთი წილი ამ თავიდან გამოიღონ, ერთი წილი მთაზედ რომ ავიდნენ, და ერთი წილი მთიდან რომ ჩამოვიდნენ. აქედამ ბატონის თეთრიდან გეზირს აქქს უოკელს წელიწადს თორმეტი თუმანი.

რძე. ქვთ-კირის ღიღოს დებულებისათჳს.

ამეს საბატონო: ერთის სამესრეოს შენახება, მისი კუნა, თეს-
გა, მომკა, მოტანა, გაღეწვა. გუთანზედ ორი დღე კუნა, მისის ნაგ-
ნაგის შემუშავება, ღალა დღიურზედ კოდი ა; მართებული საბაღა-
ხე; ჰირის-თავი, ნახირის-თავი, საშობაო ცსჭარი ა; ერბო ღიტრა
ა; ჭათამი-აგრევე სააღდგომო ამესთ, სეჭერიო კარი. ქვთკირის ღი-
ღოს მოურავს რამდენიც გუთანი არის, ერთს დღეს უსნან, უთესონ
მოუმკონ, მოუტანონ, გაუღეწონ; კომლზედ ერთი კოდი ჰური და
ქერი, თავის-გასამტესლო, გასამურელო ქვითკირის ღიღოს მამა-
სასლისისა, ქვითკირის ღიღოს ნაღჳლისა.

რძე. სომკითს რომელსაც ჯაგს არის ქორის ბუღისათჳს.

ქორის ბუღე არის	ატურცის ბუღე.	თრთაშუის ბუღე.
სომკითს	სოსის ბუღე.	სადგაღეთის ბუღე.
ჯონჯლის ბუღე.	ჩორათანის ბუღე.	სენძოკარის ბუღე.
ფეთსინის ბუღე ანდიკა.	კარასორის ბუღე.	სუვაბის ბუღე.
ჯიმშურის ბუღე.	საბის ბუღე.	
ფიფიჩანის ბუღე.	დეღეუტის ბუღე.	

რძე. ღვინის მოსავლის რიგისათჳს.

ღვინის მოსავლისა ასრე იქნებოდეს: სოფელზედ რასაც ჩვენს
საკასოს დასთჳლის, მოსავლის ჯაგს ჩვენი მესთჳლე: წავიდოდეს,
იმ სახასოებში ყოველგან ჩვენნი მტკელენი ასეთს შემარნეს დაყე-
ნებდენ წლითი წლად რიგით, რომე ქეთხუდა და ღვინის შენახვის
მცოდნე იქმნებოდეს. ჟერ ფერისას დასწურევენ და კოჟორზედ

გამოგზავნიდნენ; მეძმე შესთულე და შემარნე ამას იქმოდნენ, რაც იმ სოფელში ან კულესი ან თარხნის სათხოვარი, თუ სსჴა შენაწერა ღვინო რაც სოფელს შევარდეს, თოჯი რომ ქნან, სადაც კარგი კენახი იუოს და კარგი ღვინო გვარობდეს, რომ ჩვენთან შემარნემ ირჩიოს და მოინდომოს, ის სვენთჳს დაწურონ და ჩვენთვის წაიღონ. თუ რამ მოკვლას და ან სასოფლო ტკბილის კარგი შევარდნილიუოს, მეძმე იმათ მისცემდენ. ჩვენი შემარნე ქვევს კარგად გარეცხინებდეს, შეაფურვინებდეს. რა სან ჩვეს ქარხანაში ითხოვონ, მეღვინეს შემარნე მოახარებდეს, ნახოს თუ ან წყალ-ნარევი, ან ქვევრის გემოვანი, ან უკელობით წამკლარი იუოს, ის ღვინო გამოართჴან და ერთი იზოონი შემარნეს სსკა წართჴან თავისი. შესთულემ თუ მოხელემ ეს ჩვენი ბრძანება შემარნეს არ გაუტონა, მაშინვე მოგვასსენოს. თუ მეღვინემ წაასდინოს, იმან ზღოს; თუ შემარნეს წაესდინოს, იმან ზღოს.

რძღ. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათჳს

მეფეს რომ დაუმარცხდეს რამე, მცხეთას დამარხონ. ქალაქილამ რომ წასვენონ, სომეით საბარათიანოს სარდარმან უწინ იმათუნდა ასწიონ საკაცესა, დიღმის წყლამდის იმათ უნდა წასვენონ. დიღმის წყლს იქით, დევის ნამუსლამდინ ამილასორმან და მისმან სასარდლომ უნდა წასვენონ. დევის ნამუსლს იქით ხილამდინ ბატონის დროშის კაცმან. კიდს იქით საყდრამდის მუსრანის-ბატონმა, არაგვის ერისთავმა და ქსნის ერისთავმა და მისმან სასარდლომ. რასაც აღაგს მიიუვანონ, გზა უღუფით უნდა გასომონ: ისე ამ გზებით უნდა წასვენონ. სარდლებმან თავისს სასარდლოს კაცებს ზარნი უნდა ათქმეინოს, საკაცეს რომ სსჴა და სსჴა კაცი გამოეცხალოს,

ჭირის-უფალთან მოვიდნენ და ზარი ჭსთქვან; და მერმე ცაპეტი მე-
ორე სარდარს რომ კაცი გამოეცუალოს, კიდევ ჭირის-უფალთან
მოვიდნენ, ზარი ჭსთქვან და იმათ დაისვენონ.

რბთ. ყორიასაულისათჳს.

ყორიასაული: საგინასშვილი ბეჟან. კიდევ საგინასშვილი ბეჟან. სა-
აკაძე მერაბ. გლურჯიძე ტარიელ.

რე. ყაფიჩუბისათჳს.

ყაფიჩუბი თურქისტან.	თქროსმსკედლის-შვი- ლი დათუნა.	ყორღანას-შვილი შერ- მაზან.
თუძანის-შვილი ფირან.	ყაფიჩი გილაქი შაჰუნა.	ბაგრატა.
თუძანის-შვილი ავთან- დიდ.	გლურჯიძე ზაალ.	მირიანას-შვილი ფარ- სადან.
შაკელას-შვილი ალა- დვერდა.	თურქისტანის შვილი ბეჟან.	გლურჯიძე მანუნარ.
შანაზარას-შვილი გი- ორგი.	თულას-შვილი ისე.	დალაღას-შვილი იენუქა. ზაკარას-შვილი ბასუტა.

რეა. ყორიბაშისათჳს.

ამილახორის შვილი ბარძიმი.	საგინას-შვილი საამის შვილი.	გიორგი ყორიის შვი- ლი ბეჟან.
საგინას-შვილი ფარე- მუზის შვილი.	გლურჯიძე შალვას შვი- ლი.	გლურჯიძე გლურჯიძის ძმისწული.
სააკაძე იორამის-შვი- ლი.	იესე ვარაზბუდახის შვი- ლი.	ვარღა ოღლი უსუფა. ელის უზბაშის ძმა.
საგინას-შვილი გორ- ვასპის შვილი.	საგინას-შვილი ქაისოს- როს შვილი.	სალიფოღლი აბდულა. ჯავანშარი დარკ: ყუ- ლი.
ყორიბეგაშვილი ბა- რათა.	სააკაძე ზურაბ. რევის-შვილი გიორგი.	

რუბ. ყალიონ-ყორჩებისათვის.

ყალიონ ყორჩების თაყ- ლიდარი.	ყალიონ ყორჩი. 2 ინდო.	ყალიონ ყორჩი ბიძი- ნა. შეტრე.
გაბრიელა.		

რუგ. ყავახებისათვის.

ყავაჩი სეფიეულა.	ყავაჩი დოლა.	ყავაჩი რეკაზას-შვილი
	რედ.	უველისათვის.

ჩატ ჩვენს აუშანაში უველი დაიხარჯებოდეს, და ან საშარბათოში უველი და მაწონი მოუნდებოდეს, ჩვენის ცსკრის მოსაკულიდამ ნაზირმა გაურიგოს და იქიდანმ ხარჯონ.

რუე. ყაბების რიგისათვის.

ბატონის წინ დასადგმელის ყაბისათვის უნდა მიეცეყოდეს ერთის ყაბისათვის ბრინჯი ლიტრა ბ; კორცი ლიტრა აი; *) ერბო თუ კალასი იყოს, ლიტრა ბრინჯზედ ჩარეჭი ა; და თუ კალასი არ იყოს, ჩარეჭ ნახევარი. ჩილავისათვის ყაბისა ბრინჯი ლიტრა ბ; შესაწავი ქათამი ე; შესტრანგისათვის კვერცხი კე; კაკვი ჩარეჭი ა; ერბო ჩარეჭი ა; შამ-ქაბაბს ერბო ჩარეჭი ა; ქათმის ყაბს ბრინჯი და ერბო. აგრევე თუ ვარიობა არის, რვა ვარია. თუ ვარიობა არ იყოს—ქათამი ე. მუთანჯის ყაბს ბრინჯი და ერბო, აგრევე ერბო, აგრევე გორცი ლიტრა აი; ზაფრანა მისხალი ბ; ქიშიში ნახევარ-ჩარეჭი, ნუში ნახევარ ჩარეჭი, თაფლი ნახევარ ჩარეჭი, ქმარი ერთი ჩარეჭი, ბატონის უაბზედ ბრინჯი და ერბო აგრევე და ერთი მრთელი ბატონი.

*) ნიშანი ესე ი არის ნახევარი(1/2). აქ აი ითქმის: ლიტრა ერთი და ნახევარი. გამომც.

ამაგებს მასწავლა როგორც მართებული იყოს, ნაზირი შეიტყუებდეს და ის-
რე გაურბიებდეს. იახნის უბი საესედ და მართებულად მოვიდოდეს,
აგრევე ბორანისა; და მისი აში როგორც მართებული იყოს, საჟერ-
გოს უბზედ ლიტრა ნახეკარი ბრინჯი, კორცი ლიტრა ა; ერბო
აგრევე; უბზე მარილი ჩარეჟი ა. მარსუა თუ იყოს, ერთს უბზედ
ბრინჯი ლიტრა ორი; ნიგოზი ნახეკარ-ლიტრა, ქიშმიში ნახეკარ
ჩარეჟი; ჩილავს ბრინჯი; აგრევე კიზილალა შესწუჯად ნახეკარ ჩა-
რეჟი; მოხარშული გიზალალა უბზედ ჩარეჟი სამი. ცერცვი და მუ-
სუდო თითოს უბს ლიტრა აი; შეჭამადად ბადიანედ ლიტრა აი;
ნიგოზი ლიტრაზედ თითო ჩარეჟი, მარილი ნახეკარ ჩარეჟი, ხახვი
ლიტრაზედ ერთი ჩარეჟი, ერთს უბზედ მოკარშული თუ უში დ;
ერთს უბზედ სათალი წვეილი ე; ერთს უბზედ მოხარშული თუ
უში ზურგიელი ბ; ბოლო ერთს უბზედ გ; ბოლდამასათუს ერთს
ბადიას იანი ლიტრა ერთ ნახეკარი; ლავში ჩარეჟი ორი.

ამ საჭმელიდამ უნდა დაუსხან თუშმლებს რომლისაგანაც უნ-
დოდეს თუთოს ამალს თუთო უბი; დავთარსანაში ერთი ბოშეუბი
ოსტატს; თასი საყას ერთი თეფში, აუშტარს ერთი თეფში, მეშე-
შეს, *) სალთხუცის კაცს ერთი თეფში.

რეჟ. უაფნის რიგისათუს.

უაფნის რიგი ასრე არის: ფქვილზედ, ქერზედ, ბრინჯზედ, შაბზედ,
წაბლზედ, ფეტვზედ—ერთს საპალეს რომ ასწონენ, საპალენზედ
ბისტს გამოართმევენ; ბამბის ცალზედ ერთს შაურს; ენდროს ცალ-
ზედ ნახეკარს შაურს. აგრევე მატყელზედ, თაფლზედ, ერბოზედ ნახე-
კარ-შაური, საუათის ცალზედ ერთი შაური; გეჩანაშის საპალენზედ
ბისტი; რკინის საპალენზედ ბისტი; ზეთისსილის საპალენზედ შა-
ური; ძროსაზედ შაური; ცხენზედ აბაზი; საკედარზედ ორი შაური. ეს

*) სსკას ნაწერში: მეშეშეს ერთი თეფში.

უაფანო ხან ორმოცს თუმნად და ხან მეტ-ნაკლებად იჯარით აიღების
ხოლმე. ამისი რუსუმი ათის-თავი აიღების; ნახევარი სალთსუცისა
არის, და ნახევარი კეზირისა და მდივნებისა. კეზირი დი მდივნები
შუა გაიფოფენ; მეტე ამისს ნახევარს მდივნები გაიფოფდენ.

რეზ. უსაბხანის იჯარისათვის.

არის ქონი ლიტრა სამი ათას ხუთასი ლიტრა. ამისი იჯარადარი
აიღებს ძროხის ტყავზედ ორს შაურს; ცხენარი და თსა
რაც დაიკულის, იმისი ტყავიც იჯარადარისა არის, თუთო შაურად
დაბაღს მისცემს. ამისი რუსუმი არის ქონი ლიტრა სამას ორმოც-
და ათი.

რეზ. ელის კაცისაგან უარაიის კელგისათვის.

ელის-კაცს ჭსქეს დაუთარზედ ცხენ კეთილი კაცი, და ქვევითი
კაცი კერ დააკლდებას, თავისი აღსაყალი იმისი განაყარი სახლის-კაც-
ნი და ნოქარი.

რეზ. უარაიის კონისათვის.

უარაიის კონს რაც შეეკება მოუნდების, ელის კაცმან უნდა
ჭეით შეეკოს; უარაიის მეურთელისა.

ს. უაიფულს რამდენი ხოთელი აშენებულა, ან რამდენი
ნასოთლარი, ან რომელი რომლის სამოურაო
არის მისთვის

მისირას სოთელი სამოურაოდ | წაროს სოთელი უაღფანის შვილს
მზებუებს. | ოთარს.

ხუცის სოფელი ქეშალუ სოფსს.
მარჭარას სოფელი დურშიშხანს.
სააკას სოფელი ალისანას.

უაზი სოფელი ფირმაძის შვილს
შანაზაძას სოფელი სარდრის
შვილს რამაზს.

უაზანჩი საგინას შვილს ბესპაზს.
ფერცხლუ საგინას შვილს ფარქიუ-
ზის შვილს.

გოლის სოფელი უთელანის შვილს
ოთარს.

ოქსუზიცი ამაკ ოთარს.

უურუჩიცი ოთარს.

ფანოსას სოფელი ამაკ ოთარს.

ჭკემო-ორთლუ საგინა შვილს ბეს-
პაზს.

ზემო ორთლუ ფირ-მაძაძას.

მელიქბეგას სოფელი მანუჩარას
ფირ-მაძაძას სოფელი უზბაშს.

თიქმა-ტაში შარაფადინას.

თოფალს სოფელი ფაატასი

აშულის სოფელი ნურიას.

ბანჯარკუტი ამირთლდი ალიუუ-
ლასი

დინარისას სოფელი აბედინას შვი-
ლს.

სარქისას სოფელი გოგიბას შვილს.

ბანო სოფელი როსტომს.

დერძლო სოფელი ხალილას.

შუეკერის სოფელი აზიზას შვილს.

სატანას სოფელი ვეზირს.

ბეკაშითი გიგ მდივანს.

კირაკოზას სოფელი მანუჩარს.

სელიძას სოფელი მერაბაძას.

ტაშქორთვი ვეზირის ძმას.

დუგაზას სოფელი მოლა აბდუ-
ლას შვილს.

სატის სოფელი ოთარ მდივანს.

ჯიგრაშენი დოღენჯის შვილს.

მოხათის სოფელი ფარასი.

უაღანის სოფელი მაშუდას.

აუშენბელი უაიუულის ნასოფლა-
რი უორუორა.

ნასოფლარი რბიებისა.

კიდევ იქივ ნასოფლარი ა, ანა-
ზოლლისა.

ტბის გარეშემო ნასოფლარი ექსი.

სა. უაიუულის სამოურაოსი, მეფის. გიორგისაგან

გარიტებისათვის.

ასრე არის განაჩენი, რომელიც აქვს: მოურავისა არის სამი-
ფოხალი პური, სამი ფოხალი ქერი. გომლის თავს წელიწადში უნდა
მოსტენ, რომ აქნების სამი გოდი; საჩქებე თუ იმავე ალაგის კაცმან
ქალი წაიყუნოს ექსი შაური მოურავს, და ორი შაური ნაცუალს.
და თუ სხვის ალაგის კაცმან წაიყუნოს, სამს აბაზს მოურავს მის-
ტმედეს, და ორს შაურს ნაცუალს. გასამურელო კარგს გლეხზედ

მოურავს ერთი ძროხა; მცირეს გლესზედ ერთი ცხენარი. ნაცუნას ცხენარი, ვისაც ძროხა გამოუვიდოდას აბაზსა და ვისაც ცხენარი გამოუვიდოდას ორს შუერს მისცემდეს. თავისგანამტყნლო სუთი აბაზი. მოურავს კბილის ჩაგდებინებისათჳს ოცდა ათი შუერი. ვინც ბოზობა ქნას—სუთი მინალთუნი, იურზედ ერბო ლიტრა ა. ქურდობა თუ საქართველოს მამულში შეანდეს, შვიდეულად აზღვევინოს მოურავმან და ერთი ორად ჰატრონს მისცეს, სსუა საბატონოდ მოვიდეს. თუ სსუის ქვეყნის ქურდობა შეანდეს, ერთი ორად აზღვევინოს, ერთი ჰატრონს მისცენ, და ერთი საბატონოდ მოიუქანონ. მოურავმან ძროხაზედ აბაზი გამოართვას სანიასულად, და რაც საბატონოდ მოვიდეს, სუთის-თავს ირისგან მოურავი აიღებს. საკდელზედ თითო შეგდებაზედ ერთი ჩარქვი სუთი მოსცენ. მოურავი ორასს ცხენარზედ თითოს შიშლივს აიუქანდეს; საქურთო ძროხა ბატონისა არის, ცხენარი მოურავისა. ჩვენს სამსახურზედ მოურავს ულავს ათხვევდნენ.

სბ. ყულარაღასისა გარიგებისათჳს.

ყულარაღასის ჯამაგირი თორმეტი თუმანი; ბატონს თავს დადგებოდეს; ვინცა ვინ საპატროს კაცის შვილი ყული იყოს, ბატონს თავს დაუყნოს, რიგზედ მართებისად იმსახუროს; იქნება ასეთი ყულიც, რომ დიდს მეჭლისში არ დაიყენებოდეს.

უორჩიბეკას შვილი ბა- რათა.	საგინასშვილი, კიდევ სააკაძე.	გლურჯიძე	შალკას შვილი.
საკაძე ზურაბ.	საგინასშვილი გორ- ჯასპის შვილი.	ყარაბუღასის იესეს	შვილი.
რეკის შვილი გიორგი.	ალიოღლი ელიაშა.	გლურჯიძე	შვილი.
უორჩიბაშის შვილი ბე- ყან.	ყარაღოღლი უსუფა.		უზბაშის ძმა.
ჯანანი დარგაყული.	კიდევ საგინასშვილი.	ხალიფოღლი	აბდულა.

სგ. შავრდნის ბაზიკრისათჳს.

ბაზიკრი ნასიბლუელი	აღიოდლი ყურბანალი.	ფიროდლი აუზიზა.
მამას შვილი.	ველიოდლი ისმაილა.	ამირველიოდლი ასანა.
მურადოდლი მუსა.	მანსუთოდლი ისმაილა.	ველიოდლი აშურა.
ახიჯანოდლი ბაირამა.	მაჰმადოდლი მუსტო-	ალავერდოდლი შაკე-
ასანოდლი მაჰმად.	ფა.	რდა.
აღიხანოდლი სარი-	შამადოდლი ყუზანა.	ბაირამოდლი ყურბა-
ველი.	ჰასანოდლი ჰასანა.	ხალა.

სდ. შათირებისათჳს.

შათირი ასკარა.	კიდვე შათირი იმისი	შათირი ხადანგა.
გიორგი.	მმა.	კაუთის კეველი შათირი.
სურამელი შათირი.	გურიული გიორგი.	გრიგოლ.
	მოქალაქე თამაზა.	

სე. შანიშინის დევანსანის რიგისათჳს.

თუ ბატონმა შანიშინის დევანსანაში მეველასი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასბაში, ორი ბოქოულთხუცესი, ორი სოიბათ იასაული, ერთი ახდარბაში, ოთხი ახდარი, სამი მეგოდრე, ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთხუცესი, ოთხი სუფრაქეში, ორი თუშმადი, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი ჰირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ხუთი სსჴა მეღვინე, ერთი ბატონის უაღიონეორჩი, ორი სსჴა უაღონ ყორჩი, როგორც ამას ზეით ეწეროს, ისრე იმსასურებოდნენ.—თუ ბატონმა შანიშინის დევანსანაში მეველისი ბრძანოს, იმისთჳს უნდა გაკეთდებოდეს ფლავი ყაზი თექვსმეტი; ამისგან სამი ბატონის წინ დასადგმელი, და ცამეტი ყაზი საჯაროთ, მისის აში-თა და ბორნითა, ძროხა ორი.

სკ. შვეტის გარიგებისათჳს.

შვეტობა ცხურისა, ძროხისა და ჯოჯისა ყაიუულას შვილისა იმანკურდისათჳს გვიბოძებია. უიმისოდ ანგარიშს ნუ იქმონენ, შემოდგომასჳდ და გაზაფხულსჳდ ჩვენის კარის მოკელეთ ანგარიშს მოსცემდნენ. ყველისა და მატყელასა ოცის-თავი იმისია, ჯოჯიდან უოკელს წელიწადს თჯთო კვრი.

სზ. შაქრისათჳს.

საშარბათოში ქარხანაში რაც შაქარი, ნუღლი, საცმლის მასალის იარაღი მოუნდებოდეს, საღაროს ნაზირმა—გილანის გერაქ-იარაღის დახაროს, თავრიზიდან დაიხარებდეს, რაც მოკვინდებოდეს.

სძ. შავარდნის ბუდეებისათჳს.

ნიჩბისის შავარდნის ბუდე, თავით ბოლომდინ, ნიჩბელთ შიინახონ; კავთის-კეკს შავარდნის ბუდე ქუათა-კეკის წინამძღუარმა შიინახონ და მიხაროს ვისმე და კაცს დაჴენებდეს, და თუ დაიკარგვის, და ან არ იბუდებს, საქუათაკეო კაცი უოკელს წელიწადს ორს მთავარს შავარდნის იუიდედეს; კლდე-კარის ბუდე იქივ უვაკანებმა, იქ მანგლელის სოფელი არის, იმათ და გუდელთ შიინახონ; წითელ კლდის ბუდე ჭ ბეცვისის ბუდე ფიცელთა და საყვარელთ შიინახონ; კრკონის ბუდე კრკონელთ შიინახონ; აბუხალოს ბუდე და გილიკის ბუდე ბეკეპინელთ ეხაროს; თრელვის ბუდე თრელველთა და ერთობით კვედურელთ შიინახონ; ნეპის ბუდე სტანა შვილს ეხაროს, იმათ და ნეპელთ შიინახონ; ასალ-დაბის ბუდე სალმანის შვილმა და ასალ-დაბელთ შიინახონ; სატკიურის ბუდე ზემო გუფთის

ბუდე, ლკერტკეის ბუდე, კოშკას ბუდე—ეს ოთხი ბაადურის შვილ-
მა იოხუბმა შეინახოს; ჩათარანის ბუდე ჭაოელთ ოსებმა უნდა
შეინახონ; სვერის ბუდე სვერელთ შეინახონ. ეს ბუდეები რომელიც
რომლის სოფლისათვის მიგვიბარებია, იმათ ასრე შეინახონ, რომ
კარგ გუჯრად თუაღი დაიჭირონ, რიგისად კაცს დააყენებდენ. რა-
ერთიც ალაგი ამ ოთარმა ბუდის გარეშემო გაჩვენოსთ და გითხრასთ,
იმდენი ალაგი ყორულად შეინახეთ. იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს
მოსჭრიან. სადამდის ჩვენი ბაზიური არ მოვიდეს, ნურცაჲინ ბუდეში
ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას ნახვენ; შორიდან თვალი
ეჭიროს. რასან ჩვენი ბაზიური მოვიდეს, იმან ანახვინოს; რაც იყოს,
იმან ამოიყვანოს. ვინც უჩვენ-ბაზიურად ნასაკს და ჩაეკიდების,
შვიდეულად ვაზღვევინებთ. ეს ბუდე ვისაც აბარია და დაგვიწყრია,
ესენი კარგად გაუფრთხილდნენ და დაყოფდნენ, რომ შავარდენმა
იბუდოს. თორემ შავარდენი თუ არ იბუდებს, რამდენიც ბუდე არის,
ბუდის-თავს ყოველს წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს შა-
ვარდენს ვასყიდვინებთ; იცოდენ, არას გზით არ ვაპატივებთ. ასლა
რომ შავარდენს ვართმევთ, კლდე-კარიდამ შავარდენს ბ; საჯავასია-
ნოდამ ბ; თრეღვიდამ ბ; იმერ-კევიდამ ბ.

სთ. შულავრისა და თეთრ-სოფლის ბატონისა და მოკელეთ
გამოსაღების საკომლოსათვის.

აქს ბატონის კულუხი—ორი ჰატრონს, ერთი ბატონს; ღალა
ხუთი ჰატრონს, მეექვსედი ბატონს; მალი მამულიანზედ თავზედ ხუთი
აბასი ბატონს, ორი შაური სამოკელო; ბოგანოწყედ ათი შაური
ბატონისა, ორი შაური სამოხელიო; სუშობაო ძღვენი ძროსა ა,
ცხენარი ა,*) ღვინო საპალნე ბ, კვერცხი რ; ნახირის თავი კარი; სა-
ბალახე ცხენისა და ღორისა პირის-თავი; ზურის მუშაობა; სარის

*) სსკას ნაწერში ცხენარი ია.

მიტანა; გოგორზედ თავისის უღაუით სამოცის საშაღნის ტუბილის მიტანა; გოდის-პური, თავეთის გულუხისა და ღაღის ნასეკრის ქაჩხანაში ჩამოტანა; ხუთი დღე გლეხისაგან გუთანსუდ ექნა, მოწყეჭა, ფარცხუა, მოძკა, გაღეწვა, შიღვა და ჩამოტანა; ფურსუდ ერბო; ახალ-ნაშობს ბერწსუდ ნასეკარ ჩარქვი; ისრინი ღიტრა რმ; უიზუაღის კონის ქვის ჩაყრა; ნაჯუადინღუს რუს სათავის კეთება; ჭაღის რუს ქვეშ თუ დასთესონ, პურისა და ქერისა, ფეტვისა, ბამბისა დაღა ექვსუდ ა ბატონსა; თუ ჩაღთუკი დასთესონ, ასრეკ დაღა; ბოსტანსუდ სამი აბაზი; თუ ვინმე შულაკრის ბოლოს თათარი დასახლდეს და ზამთარი დაჭყოს თუთნჯაგი კომღსუდ სამი აბაზი; თუ ვინმე გარეშე იქ ცხუარი დააყენოს, შიწრედ ერთი ცხუარი; ძროხასუდ ორი ფული, ღორსუდ შირსუდ ერთი; მარნის რეცხა, ქათმის ბარება, საქურთია, წელიწადში კომღსუდ თუთა შაური საბატონო მოგროვლების, — ამისგან ხუთი აბასი მოურავისა არის; ბატონი რომ აიყაროს, ათი ცხენი უნდა მოიუქანონ, ან მისი ჭირა შულაკრელთა; ამას გარდა სამი ცხენი თეთრმა-სოფელმა, ან მისი ჭირა.

შულაკრის მოურავის სარგო: შულაკერში რაც გუთანი იყოს, ერთი დღე უხნან, დაუთესონ, მოწყეწონ, მოუმკონ, მიუტანონ, გაღეწონ; საწნახელსუდ თუთა კოკა ტუბილი; შობის ძღვენი საშაღნე ღვინო ა, ძროხა ა, ცხუარი გ, მისი ქათამი; კვერცხი; ასრეკე კიდევ აღღგოშის ძღვენი.

მოურავი რომ მივიდეს, ასრე დახვდებოდენ: ორი ამფა ერთს დღეს, ოთხი ერთს დღეს; ექვსი ერთს დღეს, რაც მოუნდეს, ისრე ასუნ, აჭამონ ცხენით კაცადინ; ასრე იქმოდენ, რამდენჯერ მივიდოდეს მოურავი. რა ხან რიგი გათავდეს, თავით ბოლომდინ კიდევ ასრე მოირიგონ. მაგრამ მოურავი ნურც ცუდმადათ მალ-მალ მივა, ნურც ბეკრს ხანს დადგების. თუ არ მივიდეს მოურავი, ამ დებულებას სხუა-

გნიდამ ნუ ქსთხოვს და ნურც წაიღებს; თავის გასამტეხლო ხარი; ძმა რომ ძმას გაეყაროს, ხარი; თუ ვინმე ან იჭაურმან, ან სხუგანი-ურმან ქალი წაიუწიანოს, ექმსი შაური; წელიწადში ულაუი ლ ათ-ხოონ ქალაქამდინ, კოჯრამდინ, უარაიამდინ, საბარათაშვილომდინ; კვამლზედ თუთო კვერცხი ყაჭი ვისაც ჭია ჭუწანდეს, მანჯანიკზედ თუთო სტილი აბრეშუმი, თუ მოვიდეს, — თორემ ნუ ქსთხოვს; წელიწადში კვამლზედ თუთო შაური რომ მოგროვდების, იმისგან ხუთი აბასი; ერთი საშალნე ნესვი თემობით ქალაქს ჩამოუტანონ. რაც ჭურდის საზღაური დადებებს, ხუთის-თავი. მალის გამომღებმან თავზედ თითო შაური; სასთჟლო ჰური მოურავს და მესთჟლეს, ჰური ღღეში რ; ღვინო ჩაფი იბ; ქერი კოდი ბ; ცხუარი ხსნილში ა; ქათამი რამდენიც კაცი გამსპინძლდეს იმდენი; მარხუში თევზი და სამარხო მიიტანონ; საშობაოსა და სააღდგომოს ძღვენს ქალაქს ჩამოუტანდენ; თარხანი საწნაკელზედ ცალს ტკბილს მოსცემდეს; რასაც აზნაურშიღს ვენახი ჭქონდეს, შულაკერში : საწნაკელზედ ცალი მისცეს, და აზნაურშიღის უმამ კოკა ა; საქჟერიო ცხუარი არის. — შულაკერის ნაწილისა: საწნაკელზედ ორი ჩაფი ტკბილი მოყალნემ უნდა. მისცეს და ორი ჩაფი თარხანმა; ვინც გაიყაროს, ხასკვარ ცხუარი; ქორწილის მქმნელმა აბასი; ვინც ყაჭი დაიჭიროს, ერთი კვერცხი ყაჭი; აზნაურ-შიღის ვენახი რაც შულაკერში იყოს, ორი ჩაფი ტკბილი, აზნაურ-შიღის უმამც ორი ჩაფი ტკბილი მისცეს. — შულაკერის მელიქის საწგო: საწნაკელზედ ტკბილი ჩაფი ე; გუთანზედ ჰური კაბიწი ა; თავზედ ხასკვარ შაური. — მესთჟლისა საწნაკელზედ ტკბილი კოკა ა. — შულაკერის მამა სახლისის საწგო: რაც გუთანი არის თარხანს გარდა ერთს ღღეს უხუნენ, ერთს ღღეს უმეიან, ერთს ღღეს უზიდვენ; საწნაკელზედ ორი ჩაფი ტკბილი; ქალის წაუწინაზედ აბასი ა; ვინც გაიურებიხ

ნახევარ ცხუარი; ვინც ჭიას შეინახავს — ერთი კეკრცსი უაჭი. — მამასახლისისა, კასადრისა და ნაცულისა: კომლზედ ქერი ლიტრა გ; ათეულზედ ღვინო თუნგი ა; რაც ბატონს კრგების, იმაზედ ვისაც შეკლავს ბურჯაკი, ვისაც არ შეკლავს, ქათამა, ხარშო მისის ჰური-თა. — შემალეს ჰური თავზედ, ღვინო ლიტრა ა0; ქერი თავზედ ლიტრა ა; კომლზედ ქათამი ა; ესეც მემალისა, მამასახლისისა და ნაცულისა. — გუთნისა, მკისა, ხენისა, ზურისა მისაცემი ხარჯი ასრე მიეცემის: ნახავს და მოსავალს დასედაოს სალთხუცესმა და ნაზირმა და ისრე მისცეს. შულავრის ზურის სამუშაოდ ჰური გოდი ა; ღვინო საპალნე კ; მუშა გუნაში, მკაში, ლეწვაში, ჰური გოდი მგ.

სი. ჩელიქის ბაჟის რიგისათჳს.

თავრიზის ფარჩაზედ თუმანზედ ათი შაური არის, აქლემით მოკა, ცხენით; კიდევ დაუთრიდამ სეფათის აქლემის საპალნეზედ ოცდაშვიდი შაური; ცხენის საპალნეზედ თურამეტი შაური; ურდვარის ფარჩისა, აქლემით არის თუ ცხენითა, საპალნეზედ თურთმეტი აბასი, აბრეშუმი. თუ აქ მიზანში ასწონეს, ბათმანზედ ერთი აბასი, და თუ საპალნეობით გაკა, აქლემის საპალნეზედ ცხრა მინალთუნია. ბანბის საპალნე, აქლემს ჭიდიან თუ ულაყსა, საპალნეზედ ორი აბასი არის; თუ ღარბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მუშრისანა არის. ენდროს საპალნეზედ ორი აბასი არის; აქლემისაზედ და ცხენისაზედ ერთი აბასი. ერბო ან თაფლი ეკიდოს, აქლემზედ ორი აბასი და ცხენზედ ერთი აბასი ბაჟი. წინდის საპალნეზე აქლემზედ ათი შაური, ცხენზედ ხუთი შაური; მატყელზე აქლემზედ ორი აბასი, ცხენზედ ერთი აბასი. ბრინჯი, რკინა და ან შაბი რომ ეკიდოს აქლემზედ სამი შაურია და ცხენზედ ორი შაური. მარღის საპალნეზედ ერთი შა-

ური, და ამისი ნასკეარ შაური მოურავისა არას. ქიშიშის აქლემის
საპალნეზედ ლიტრა ნასკეარი, ცხენის საპალნეზედ ერთი ლიტრა;
თამბაქოს საპალნეზედ აქლემზედ ლიტრა ნასკეარი, ცხენზედ ერთი ლიტ-
რა; შეთის საპალნეზედ ერთი აბასი, და მუშრბიბანა ნასკეარ-შაური;
ორაგულის საპალნეზედ ორს მთელს აიღებენ, ერთი ბატონისა არის
და ერთი მოურავისა და მელაქ-მამასახლისისა; გელაქურის საპალ-
ნეზედ თორმეტი აიღებინ, რვა ბატონისა არის და ოთხი მოურა-
ვისა და მელიქ-მამასახლისისა; სმელის თევზის ურემზედ თვრამეტი
შაური აიღებას, ამისი ერთი მარჩილა ბატონისა არის, და ექვსი
შაური მოურავისა და მელიქ-მამასახლისისა; ჩენის მოქალაქის აბრე-
შუმისა და ფარჩის საპალნეზედ სამ-სამი აბასი მუშრბიბანა აიღებინ,
რამდენიც საპალნე იქმნებას.

მოურავის მარგო: ფარჩის საპალნეზედ სამი აბასი არის, სა-
უთის საპალნეზედ ცხრა შაური; ხანბისაზედ ცხენზედ ორი შაური,
აქლემისაზედ ცამეტი შაური; თაფლზედ, ერბოზედ, მატულზედ,
ენდროზედ, წინდაზედ—ამეხებისა აქლემზედ ორი შაური, და ცხენ-
ზედ ერთი შაური; რეინაზედ, ბრანჯზედ, შაბზედ—საპალნეზედ
თერთმეტი შაური; ურუმის აბრეშუმის აქლემზედ სამი აბასა, ცხენზედ
ექვსი შაური, ამინგან აბაზის თავს ერთი შაური დედოფლის მება-
ყისა არის და ორი ბისტი მოურავისა. ჩელაქზედ აქეს, რომე
მებაყემ უნდა აიღოს, მთაზედ ან უაიულის მოუყანილი ტყვე ურუ-
მიდამ ჩვენმა თათარმა თუ ქართველმა რომ იყალოს, სამი მინალ-
თუნა და ერთი აბასი ტყვის თავს მსუადველს გამოერთმევის, და
თუ ვინ-იცის მთაზედ ჩვენის ქვეყნის თათარი თუ ქართველი ააყვანს
და მიჭყიდის ვისმე, ორი თავი ბაყი უნდა გამოართვან, რომ იქნებას
ექვსი მინალთუნი და ორი აბასა.

სია. ხარტა ნაზირისათჳს.

ხარტა ნაზირისა: ჟოგიდამ წელიწადში გჳცი ერთი, ბატონის სატამაზლუხეს ცხურის ქასილის ოცის-თავი.

სიბ. ცხურის შემოსავლისათჳს, რომელ-არს საბალახე.

ცხურის შემოსავლას ასრე იქნებოდეს: რასაც მკარეზედ მო-
ბალახენი გარიგებულნი იყუნენ და მისს დროს წავიდოდენ, ჩვენს
ნაზირს მეცხურეს ქსთხოვდენ და თან წაიტანდენ; საბალახეს რომ
დაუთუღიდნენ, რაც გკერებოდეს ცხურაი, თხა, ბატონი თუ თი-
კანი, მეცხურეს დაატერინებდენ. მეცხურემ დადალოს და იმსვე
ეპაროს. დალი სალთხუცის კაცს ეპაროს. რა სუნ მეცხურემ მოიუჴა-
ნოს, მესაკლავეს თუ მოაბაროს, მეცხურეს წყარგი აშოკნი-
ნოს; თუ მესაკლავეს მოწონებული მიაბაროს. და მეცხურემ ან ქარ-
ხანაში და მეულუთეს ავი საკლავი მისცენ, ისწე მესაკლავეს
უფონ. მობალახე და მოხელენი თავეთს ათის-თავს მეცხურაიდამ ნუ
აიღებენ: იანგარიშონ და თავეთი წესი ერთის მკრიდამ აიღონ. ბა-
ტონის საბალახეს გარდა ასრედ ერთი შიშლიგი, ერთი საკლავი აიღონ.
საკლავი მობალახისა, სუფრაჯისა, სალთხუცისა და შდიგნების კაცებისა
არის. შიშლიგი მობალახისა და სუფრაჯისა არის. საკლავი ბატონის
ცხურაიდამ არც ერთი არ უნდა დაიკლას, საკლავაიდამ და შიშლიგი-
დამ უნდა ჭამონ. მობალახემ მანისს, თიბატეჴს თავისი ანგარიში
უნდა მოსცენ, თვარამ მობალახობა დაკვიდებინებია; გინც უსამართ-
ლოდ აიღოს, ჯარიმატ არის.

სიგ. ციხის ბაღებისათჳს.

